# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 429

„ 23 " სექტემბერი 2025 წ

**ქ. თბილისი**

**ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა №45-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.26.004.116.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას *„ქალაქ თბილისში,* ალექსი შიუკაშვილის ქუჩა №45-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.26.004.116.01.503) *არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ* თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 20 აგვისტოს №25.1403.1526 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა №45-ში, მეორე სართულზე არსებული 21.50 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.19.26.004.116.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, დავით სუხიტაშვილისთვის (პ/ნ. 14001015703) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე